სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

23 ივლისი, 2026 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/134

ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტების
შერჩევისა და განხორციელების დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ,,ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების განხორციელების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/90 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 დადგენილების, ,,ბსუ-ს კვლევის ეთიკის კომიტეტის დებულების“, ბსუ-ს რექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის (MES 5 26 0000964210, 22.07.2026) აკადემიური საბჭოს რეგლამენტის და აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმის (№ 06-02/11, 23.07.2026) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტების **შერჩევისა და განხორციელების** დებულება, წინამდებარე დადგენილების **№1 დანართის** შესაბამისად.

2. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის** №36 დადგენილება ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 2026 წლამდე დამტკიცებული ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი პროექტების განხორციელების და ანგარიშგების ვადის სრულად ამოწურვის შემდეგ.

2. წინამდებარე დადგენილება და დამტკიცებული დებულება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. ეთხოვოს ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს იმსჯელოს წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული დებულებით გათვალისწინებული საკონკურსო ან სააპელაციო კომისიის წევრების შრომის ანაზღაურების განსაზღვრისა და გაცემის საკითხზე (სამართლებრივი აქტის გამოცემაზე ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის უფლებამოსილების მინიჭებაზე).

4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარი).

5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**

„ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტების შერჩევისა და განხორციელების დებულების დამტკიცების შესახებ“
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ივლისის № 06-01/134 დადგენილების
№1 დანართი

ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტების შერჩევისა და განხორციელების დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – **„უნივერსიტეტი“ ან „ბსუ“**) ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტის (შემდგომში – **„მიზნობრივი პროექტი“ ან „მიზნობრივი საგრანტო პროექტი“**) შერჩევისათვის კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების, შერჩეული პროექტის დამტკიცების, განხორციელების/ადმინისტრირების, მონიტორინგისა და ანგარიშგების წესსა და პროცედურებს.

2. ბსუ-ში განსახორციელებელი მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტების შერჩევისა და ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების **მიზანია:**

ა) ბსუ-ს საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებების თემატიკაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, თანამედროვე ინტერდისციპლინური ან/და დარგობრივი კვლევების ჩატარების მხარდაჭერა, კვლევების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა, ბსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერება და გაუმჯობესება;

ბ) ბსუ-ში დასაქმებულ ახალგაზრდა მეცნიერთა **სამეცნიერო პოტენციალის ზრდა,** მათი და ბსუ-ს სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართვის წახალისება;

გ) ბსუ-ს დასაქმებულთა სამეცნიერო კვლევის შედეგების გავრცელება საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში;

დ) სასწავლო პროცესის ინტეგრაცია კვლევით საქმიანობასთან, ბსუ-ს მიზნობრივ კვლევით პროექტებში ბსუ-ს სტუდენტთა ჩართვის გზით.

3. წინამდებარე დებულების შესაბამისად **გამოცხადებული და ჩატარებული კონკურსის შედეგად შესაძლებელია შეირჩეს და დაფინანსდეს** ბსუ-ს მიზნობრივი პროექტები ევროპული კვლევების საბჭოს (European Research Council - ERC) კლასიფიკაციით დადგენილ **შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებში:** ა) ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; ბ) ინჟინერია და ტექნოლოგიები; გ) სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები; დ) აგრარული მეცნიერებები; ე) სოციალური მეცნიერებები; ვ) ჰუმანიტარული მეცნიერებები.

4. მიზნობრივი პროექტების შესარჩევი კონკურსის ჩატარების მიზნით, **კონკურსის გამოცხადებამდე,** ბსუ-ს რექტორის ბრძანებით ყოველწლიურად **გ**ანისაზღვრება **დარგობრივი** და **ინტერდისციპლინური** სამეცნიერო მიმართულებები (და ქვემიმართულებები), მათ შორის **„ახალგაზრდა მეცნიერის“** მიერ განსახორციელებელი პროექტების **რაოდენობა და ბიუჯეტი.** მიზნობრივი საგრანტო პროექტის მაქსიმალური ბიუჯეტი განისაზღვრება ყოველწლიურად, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

5. ბსუ-ს დასაფინანსებელი ბსუ-ს მიზნობრივი პროექტები შეიძლება იყოს:

ა) ინტერდისციპლინური მიმართულებით მიზნობრივი პროექტი;

ბ) დარგობრივი მიმართულებით მიზნობრივი პროექტი;

გ) ახალგაზრდა მეცნიერის განსახორციელებელი დარგობრივი **ან/და** ინტერდისციპლინური მიმართულებით მიზნობრივი პროექტი.

6. მიზნობრივი პროექტის განხორციელების ვადა არ უნდა იყოს 6 (ექვს) თვეზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 18 (თვრამეტ) თვეს.

7. ბსუ-ს მიზნობრივი პროექტის შერჩევის, დამტკიცებისა და განხორციელების აუცილებელი და სავალდებულო პირობაა ბსუ-ს სტუდენტის (სტუდენტების) მონაწილეობა, მიზნობრივი პროექტის სრული ხანგრძლივობის განმავლობაში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **„ბსუ-ს მიზნობრივი პროექტი“** – ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტი (დარგობრივი ან/და ინტერდისციპლინური), რომელიც შერჩეულია წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით, შესაბამის წელს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით გამოცხადებული და ჩატარებული კონკურსის შედეგად, დამტკიცებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით, ხორციელდება ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსებით და წინამდებარე დებულების შესაბამისად;

ბ) **„პროექტის ხელმძღვანელი (მენეჯერი)“** – პროექტის ძირითადი პერსონალის წარმომადგენელი (პროექტის წარმდგენი), დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ბსუ-ს **აფილირებული** აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის პირი ან ბსუ-ს ემერიტუსი, ან ,,ახალგაზრდა მეცნიერი“, რომელიც კოორდინაციას გაუწევს პროექტის შედგენას, ინიცირებას (საკონკურსო განაცხადის წარდგენას), პროექტის კონკურსში მონაწილეობას, პროექტის გამარჯვებისა და აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცების შემთხვევაში - მის განხორციელებას, პროექტის კვლევის შედეგების დისემინაციას, მათ შორის ჩატარებული კვლევის ფარგლებში მომზადებული სამეცნიერო პუბლიკაციის/სტატიის გამოქვეყნებას და ანგარიშგების პროცესს;

გ) **„ახალგაზრდა მეცნიერი“** – პროექტის ძირითადი პერსონალის წარმომადგენელი **(პროექტის წარმდგენი - „პროექტის ხელმძღვანელი“),** პირი, რომელსაც დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა ბსუ-ს მიზნობრივი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების თარიღამდე ბოლო 7 (შვიდი) წლის განმავლობაში და **არის ბსუ-ს აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის პირი ან** ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი **უფროსი მასწავლებელი;**

დ) ,,**ახალგაზრდა მეცნიერის კონსულტანტი“** - პროექტის **ძირითადი პერსონალის წარმომადგენელი,** დოქტორის ხარისხის მქონე ბსუ-ს აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი, რომელსაც გააჩნია ,,ახალგაზრდა მეცნიერის“ ხელმძღვანელობით განსახორციელებელი ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი პროექტის კონკრეტული სამეცნიერო, მეთოდოლოგიური, ტექნიკური ან გამოყენებითი ასპექტების შესაბამისი სპეციალიზებული ექსპერტიზა/ცოდნა, პროფესიული კომპეტენციები და პრაქტიკული გამოცდილება და რომელიც ,,ახალგაზრდა მეცნიერს“ (მიზნობრივი პროექტის ხელმძღვანელს) უწევს **სამეცნიერო კონსულტირებას**, შესაბამისი მიზნობრივი პროექტით გათვალისწინებული კვლევის განხორციელების პროცესში;

ე) **მენტორი** – პროექტის **ძირითადი პერსონალის წარმომადგენელი,** დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერს ეხმარება მიზნობრივი საგრანტო პროექტის განხორციელებაში;

ვ) **„პროექტის ძირითადი პერსონალი“** – მიზნობრივი პროექტით განსაზღვრული ამოცანების შესრულებაზე **პასუხისმგებელი** ფიზიკური პირები (შემდეგში - **მკვლევარები),** რომლებიც ახორციელებენ პროექტის ძირითად სამეცნიერო ამოცანებს;

ზ) **„დამხმარე პერსონალი“** – ბსუ-ს სტუდენტები და ბსუ-ში დასაქმებული **სხვა პირები,** რომლებიც მიზნობრივი პროექტის ძირითად პერსონალს ეხმარებიან პროექტის ძირითადი სამეცნიერო ამოცანების განხორციელებაში, ტექნიკური საკითხების გადაჭრაში;

თ) **„პროექტის ბიუჯეტი“** – მიზნობრივი პროექტის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული კვლევითი აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსების აღწერა, ხარჯვის კატეგორიების მიხედვით;

ი) **,,საანგარიშო პერიოდი“** – ბსუ-ს მიზნობრივი პროექტის **გეგმა-გრაფიკით** განსაზღვრული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ხორციელდება მიზნობრივი პროექტი და მისი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვა;

კ) ,,**პროექტის შეფასების კრიტერიუმები“** – პროექტის შესაფასებლად ამ დებულებით განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპები (კრიტერიუმები);

ლ) **„საკონკურსო კომისია“** – ბსუ-ს მიზნობრივი პროექტების შესარჩევი კონკურსის ჩატარების, პროექტების შეფასების და გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით ბსუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი **კოლეგიური ორგანო** (პირთა ჯგუფი);

მ) **,,სააპელაციო კომისია“** - ბსუ-ს მიზნობრივი პროექტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებაზე - კონკურსის შედეგზე - კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საჩივრის/პრეტენზიის (არსებობის შემთხვევაში) განხილვის მიზნით ბსუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი კოლეგიური **ორგანო** (პირთა ჯგუფი);

ნ) **,,პროექტის დამტკიცება“ –** ბსუ-ს მიზნობრივი პროექტების შესარჩევი კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტის (კონკურსის შედეგის) დამტკიცება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ;

ო) **,,პროექტის მონიტორინგი“** – ბსუ-ს მიზნობრივი პროექტის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული სამეცნიერო ამოცანების შესრულების თაობაზე პროექტის ხელმძღვანელის ანგარიშების და შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმება; დამტკიცებული პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად გადარიცხული თანხის/სახსრების განკარგვის პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯვის კატეგორიებთან და ოდენობასთან შესაბამისობის დადგენა; პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგებზე მომზადებული **სამეცნიერო ნაშრომის (სტატიის/პუბლიკაციის)** გამოქვეყნებისათვის წინამდებარე დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების პირობის შემოწმება;

პ) ,,პროექტის **შუალედური ანგარიში“** – პროექტის **მიმდინარეობის პერიოდში ყოველ 6 თვეში** მომზადებული **პროგრამული და ფინანსური ანგარიში;**

ჟ) ,,პროექტის **საბოლოო ანგარიში** – პროექტის საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ წარმოდგენილი პროექტის **სრული პროგრამული და ფინანსური ანგარიში;**

რ) ,,სამეცნიერო პუბლიკაცია/სტატია“ - ბსუ-ს მიზნობრივი პროექტით გათვალისწინებული და განხორციელებული (შესრულებული) კვლევის ფარგლებში/შედეგად მომზადებული **სამეცნიერო ნაშრომი** (მიზნობრივი პროექტის ხელმძღვანელის (და ძირითადი პერსონალის) ავტორობით), რომელიც უნდა გამოქვეყნდეს ამ დებულებით გათვალისწინებულ გამოცემებში, დადგენილ ვადაში და წესით **(გამოცემებში უნდა მიეთითოს შემდეგი:** ,,ნაშრომი მომზადდა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საგრანტო პროექტის ფარგლებში (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს ---- წლის **№ .....** დადგენილებით დამტკიცებული პროექტი ,, ,.....”).

ს) **,,დასრულებული პროექტი“** - მიზნობრივი პროექტი, რომელიც მიმდინარეობის ეტაპზე არ შეჩერებულა/არ შეწყვეტილა და პროექტით გათვალისწინებულ ვადაში **საბოლოო ანგარიშის** (თანდართული დამადასტურებელი დოკუმენტების), ასევე **სტატიის გამოქვეყნების შესახებ ანგარიშის** და თანდართული მონაცემების (გამოქვეყნებული სტატიის) განხილვის შედეგად პროექტს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ **მიენიჭა სტატუსი** ,,დასრულებული პროექტი“.

მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია

1. მიზნობრივი პროექტების შერჩევის მიზნით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი.

2. კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის **ბრძანებაში მიეთითება:**

2.1. შესარჩევი მიზნობრივი პროექტების კვლევის მიმართულებები:

ა) **დ**არგობრივი მიმართულებები (მინიმუმ **სამი**);

ბ) ინტერდისციპლინური;

2.2. შესარჩევი მიზნობრივი **პროექტების საერთო ბიუჯეტი,** მათ შორის:

ა) თითოეული მიმართულებით მიზნობრივი პროექტის რაოდენობა და ბიუჯეტი;

ბ) **ახალგაზრდა მეცნიერის** ხელმძღვანელობით განსახორციელებელი მიზნობრივი პროექტების რაოდენობა და ბიუჯეტი.

2.3. მიზნობრივი პროექტების **განხორციელების ვადები;**

2.4. წარმოსადგენი საკონკურსო **დოკუმენტაციის ნუსხა;**

2.5. საკონკურსო დოკუმენტაციის **წარმოდგენის ფორმა** (მატერიალურად და ელექტრონულად) **და ადგილი** (მათ შორის ელექტრონულად წარმოსადგენი დოკუმენტაციისათვის - ელექტრონული მისამართი);

2.6. **კონკურსის ვადები,** მათ შორის:

ა) საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა;

ბ) საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვისა და შეფასების ვადა;

გ) საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის შედეგების გამოქვეყნების ვადა;

დ) საკონკურსო შედეგის გასაჩივრების ვადა;

ე) სააპელაციო კომისიის მიერ საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა; ვ) კონკურსის საბოლოო შედეგების დასამტკიცებლად ბსუ-ს აკადემიური საბჭოსათვის წარდგენის ვადა.

2.7. კონკურსის სხვა პირობები.

3. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია წარმოადგინოს **ელექტრონულად** (ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ელმისამართზე) და შემდგომ **მატერიალური სახით** (ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით) შემდეგი **საკონკურსო დოკუმენტაცია:**

ა) **საპროექტო განაცხადი** (ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული **ფორმის** შესაბამისად), რომელიც **უნდა შეიცავდეს** პროექტით გათვალისწინებული ძირითადი და დამხმარე პერსონალის ჩამონათვალს (ძირითადი/დამხმარე პერსონალის სტატუსით), პროექტში მონაწილეობაზე მათი თანხმობის განაცხადებს და ხელმოწერებს;

ბ) მიზნობრივი **პროექტის აღწერილობა, თანდართული გეგმა-გრაფიკით და ბიუჯეტით** (მათ შორის ბიუჯეტის ნაწილზე ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვიზირებით (შეთანხმებით));

გ) პროექტის მონაწილე ბსუ-ს დასაქმებულთა (პერსონალის) **CV-ები** (პროექტში ჩასართავი პირების, გარდა სტუდენტებისა);

დ) პროექტის მონაწილე თითოეული სტუდენტის ცნობა და სასწავლო ბარათი.

4.. ბსუ-ს მიზნობრივი პროექტის აღწერილობაში უნდა მიეთითოს (ფორმა მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით):

ა) პროექტის სახელწოდება;

ბ) პროექტის ხანგრძლივობა;

გ) **კვლევის სიახლე და აქტუალურობა** - პროექტით გათვალისწინებული კვლევის თემის/საკითხის მიმოხილვა, აღწერა, აქტუალურობისა და მეცნიერული სიახლის დასაბუთება (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 600).

დ) **კვლევის მიზნები, ამოცანები და კვლევის მეთოდოლოგია** - კვლევის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება, კვლევის მეთოდების აღწერა, კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400).

ე) **კვლევის შედეგები და განვითარების პერსპექტივა** - კვლევის მოსალოდნელი შედეგების ფორმულირება; კვლევის განვითარების შესაძლებლობა გრძელვადიან პერსპექტივაში (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400);

ვ) **ინტერდისციპლინურობა** - აღწერეთ კვლევის ინტერდისციპლინურობა, მათი შესაბამისობა პროექტით გათვალისწინებული კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან. სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400 სიტყვა);

ზ) **პროექტის განმახორციელებელი ინსტიტუციური და სტრუქტურული ერთეული** - უნდა მიეთითოს ბსუ-ს ფაკულტეტის/ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტის ან საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის/ლაბორატორიის დასახელება, სადაც უნდა განხორციელდეს

ბსუ-ს მიზნობრივი პროექტი, ასევე **სხვა დაწესებულება** (საგანმანათლებლო/სამეცნიერო ან სხვა), სადაც პროექტის ავტორს დაგეგმილი აქვს პროექტის კვლევითი ნაწილის განხორციელება;

თ) **პროექტით დაგეგმილი კვლევისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა და მასალები** - უნდა მიუთითოს კონკრეტული დასახელება და აღწერილობა (როგორც არსებული, ისე შესაძენი); უნდა მიეთითოს კვლევისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობის დასაბუთება (მაქსიმუმ 400 სიტყვა).

5.. ბსუ-ს მიზნობრივი პროექტის აღწერილობაში აღნიშნული კვლევის ამოცანების და ჩასატარებელი კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად უნდა გაიწეროს **პროექტის გეგმა-გრაფიკი,** რომელიც უნდა მოიცავდეს **შემდეგ ველებს: შესასრულებელი ამოცანები/აქტივობები, შემსრულებლების შესახებ ინფორმაცია** (სრულად: სახელი, გვარი, დაკავებული პოზიცია ბსუ-ში/ სტუდენტის შემთხვევაში - შესაბამისი ფაკულტეტი, პროგრამა, სასწავლო წელი) **და პროექტში მათი სტატუსი** (ხელმძღვანელი/ახალგაზრდა მეცნიერი; ძირითადი პერსონალი (კონსულტანტი); დამხმარე პერსონალი (სტუდენტი)**)**, ასევე პროექტის განხორციელების/შესრულების **წელი და თვეები.**

6. ბსუ-ს მიზნობრივი პროექტის გეგმა-გრაფიკში აღნიშნულ ამოცანებს (აქტივობებს) უნდა შეესაბამებოდეს **პროექტის ბიუჯეტი,** რომელიც უნდა მოიცავდეს **შემდეგ ველებს:** შესაბამისი წელი, თვეები, ხარჯვის კატეგორიები, შრომის ანაზღაურების ნაწილში - შესაბამისი დასაქმებული, ხარჯის თანხა და სხვა შესაბამისი ინფორმაცია, პროექტით მოთხოვნილი თანხის ხარჯვის დასაბუთებისათვის.

7. პროექტის ბიუჯეტში პერსონალის შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შემთხვევაში, იგი არ უნდა აღემატებოდეს წარმოდგენილი პროექტის ბიუჯეტის ჯამური ოდენობის (დაფინანსების) 30%-ს.

8. ამ მუხლით გათვალისწინებული საკონკურსო დოკუმენტაციის სახით წარმოსადგენი ,,საპროექტო განაცხადის"; ,,მიზნობრივი პროექტის აღწერილობის, გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის" ფორმები მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.

9. საკონკურსო ვადის დარღვევით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია განხილვას არ ექვემდებარება.

მუხლი 4. მიზნობრივი პროექტის მონაწილე პირები (პროექტის პერსონალი) და კონკურსში მონაწილეობის ზოგიერთი შეზღუდვა

1. მიზნობრივი პროექტის განხორციელებისათვის საჭიროა პროექტის მონაწილეთა (შემდეგში - **პერსონალის) შემდეგი შემადგენლობა:**

ა) **პროექტის ხელმძღვანელი (მენეჯერი)** – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე ბსუ-ს აფილირებული აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის პირი ან ემერიტუსი, ან **ახალგაზრდა მეცნიერი,** რომელიც კოორდინაციას გაუწევს პროექტის შედგენას, ინიცირებას (საკონკურსო განაცხადის წარდგენას), კონკურსში მონაწილეობას, პროექტის გამარჯვებისა და აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცების შემდეგ მის განხორციელებას - პროექტით გათვალისწინებულ კვლევას, პროექტის კვლევის შედეგების დისემინაციას, მათ შორის ჩატარებული კვლევის ფარგლებში მომზადებული სამეცნიერო **პუბლიკაციის/სტატიის** გამოქვეყნებას და პასუხისმგებელი იქნება პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე, პროექტის ეფექტურ მართვასა და ადმინისტრირებაზე;

ბ) **ძირითადი პერსონალი** – პროექტის ძირითადი სამეცნიერო ამოცანების განმახორციელებელი პირები (მკვლევარები): დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე, ბსუ-ს დასაქმებული**, ბსუ-ს ემერიტუსი ან ბსუ-ს დოქტორანტი**. აუცილებელი და დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სხვა პირის ჩართვა (მოწვეული სპეციალისტი);

გ) **ახალგაზრდა მეცნიერის კონსულტანტი** - პროექტის **ძირითადი პერსონალის წარმომადგენელი,** დოქტორის ხარისხის მქონე ბსუ-ს აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი, რომელსაც გააჩნია ,,ახალგაზრდა მეცნიერის" ხელმძღვანელობით განსახორციელებელი ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი პროექტის კონკრეტული სამეცნიერო, მეთოდოლოგიური, ტექნიკური ან გამოყენებითი ასპექტების შესაბამისი სპეციალიზებული ექსპერტიზა/ცოდნა, პროფესიული კომპეტენციები და პრაქტიკული გამოცდილება და რომელიც ,,ახალგაზრდა მეცნიერს" (მიზნობრივი პროექტის ხელმძღვანელს) უწევს **სამეცნიერო კონსულტირებას**, შესაბამისი მიზნობრივი პროექტით გათვალისწინებული კვლევის განხორციელების პროცესში;

დ) **მენტორი** – პროექტის **ძირითადი პერსონალის წარმომადგენელი,** დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერს ეხმარება მიზნობრივი საგრანტო პროექტის განხორციელებაში;

ე) **დამხმარე პერსონალი** – **ბსუ-ს სტუდენტები** (უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის/ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების არანაკლებ **მე-2 სასწავლო** წლის სტუდენტები; სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტები), **რომელთა მონაწილეობა კონკურსის სავალდებულო პირობაა, ასევე** ბსუ-ში დასაქმებული სხვა პირები.

2. **სავალდებულოა** ბსუ-ს სტუდენტის მონაწილეობა მიზნრობრივი **პროექტის სრული ხანგრძლივობის განმავლობაში** (სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, უნდა მოხდეს მისი ჩანაცვლება სხვა სტუდენტით). ინტერდისციპლინური მიზნობრივი პროექტის შემთხვევაში სავალდებულოა ბსუ-ს თითოეული ფაკულტეტიდან არანაკლებ 1 სტუდენტისა და არანაკლებ 1 დოქტორის ხარისხის მქონე პირის ჩართულობა. **ახალგაზრდა მეცნიერთათვის** კონკურსის შემთხვევაში, **დამხმარე პერსონალის** შემადგენლობაში შეიძლება იყოს არაუმეტეს **2 მაგისტრანტი ან/და დოქტორანტი.**

3. პროექტში მონაწილეობა შესაძლებელია სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის ან საბაკალავრო/ერთსაფეხურიანი პროგრამის **იმ აქტიური სტატუსის მქონე** ბსუ-ს სტუდენტისთვის, რომელსაც წინა სემესტრების სასწავლო კურსებში (კომპონენტებში) **მიღებული აქვს 71 ქულა და მეტი** (გამოითვლება შეწონილი საშუალოს ფორმულით).

$$\frac{A_1B_1 + A_2B_2 + \cdots + A_nB_n}{A_1 + A_2 + \cdots + A_n}$$

A_i- საგნის კრედიტი, B_i - შეფასების ქულა.)

4. ბსუ-ს პერსონალის სამეცნიერო აქტივობის გაზრდისა და დაფინანსების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მიზნობრივი პროექტის კონკურსში მონაწილეობისა და ჩართულობისათვის **დადგენილია შემდეგი შეზღუდვები:**

ა) დაუშვებელია პირი ხელმძღვანელობდეს ერთზე მეტ ბსუ-ს მიზნობრივ საგრანტო პროექტს (დასაშვებია მეორე საგრანტო პროექტში მხოლოდ **ძირითადი პერსონალის - მკვლევარის** სახით მონაწილეობა);

ბ) დაუშვებელია **ძირითადი პერსონალის** სახით ორზე მეტ მიზნობრივ საგრანტო პროექტში მონაწილეობა (იმ შემთხვევაში, თუკი კონკურსის ეტაპზე ძირითადი პერსონალის სახით წარმოდგენილი იქნება ორზე მეტ პროექტში, მათი გამარჯვების შემთხვევაში, დასაქმებულმა ბსუ-ს რექტორის სახელზე წარმოდგენილი განცხადებით უნდა განსაზღვროს პროექტი (პროექტები), რომელშიც მონაწილეობას მიანიჭებს უპირატესობას და შესაბამისად, გაუფორმდება შრომითი ხელშეკრულება).

5. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით გამარჯვებული მიზნობრივი პროექტების კონკურსის შედეგების დამტკიცების შემდეგ, პროექტების ხელმძღვანელების (მენეჯერების) დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (დამტკიცებული პროექტის, გეგმა-

გრაფიკისა და ბიუჯეტის შესაბამისად) პროექტის ძირითად და დამხმარე პერსონალთან **ფორმდება შრომითი ხელშეკრულებები.**

6. დამტკიცებული მიზნობრივი საგრანტო პროექტის **პერსონალის ცვლილების** საჭიროების შემთხვევაში (დასაქმებულის/სტუდენტის პირადი განცხადება; ბსუ-ს დასაქმებულის შრომითი ურთიერთობის შეჩერება/შეწყვეტა; სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა; მიზნობრივი პროექტის ფარგლებში გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება ან/და შეუსრულებლობა), **წარმოდგენილი უნდა იქნეს** პროექტის ხელმძღვანელის/მენეჯერის დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათი, პროექტში სხვა, სათანადო კვალიფიკაციისა და შრომითი გამოცდილების მქონე პირის, შესაბამისი სტატუსით (ძირითადი/დამხმარე) დასაქმებაზე (ჩართვაზე). წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოიცემა სამართლებრივი აქტი, მიზნობრივი პროექტის გეგმა-გრაფიკსა და ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რაც პროექტის ახალ მონაწილესთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების საფუძველია. პროექტის პერსონალის ცვლილება **არ შეიძლება განხორციელდეს,** თუკი პროექტის დასრულებამდე დარჩენილია 3 თვე და ნაკლები, გარდა განსაკუთრებული, დასაბუთებული შემთხვევებისა.

მუხლი 5. პროექტის მოთხოვნები

1. ბსუ-ს მიზნობრივი პროექტის ფარგლებში შესრულებული კვლევა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მიზნობრივი პროექტით შესრულებული კვლევა უნდა ეფუძნებოდეს თანამედროვე სამეცნიერო მეთოდოლოგიას, რომელიც უნდა წარიმართოს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს კვლევის ეთიკის კომიტეტის დებულების“ მოთხოვნების გათვალისწინებით;

ბ) ინტერდისციპლინური ხასიათის პროექტი უნდა მოიცავდეს მინიმუმ ორი სამეცნიერო მიმართულების თანამშრომლობას;

გ) პროექტის ფარგლებში სავალდებულოა მინიმუმ ერთი პუბლიკაციის მომზადება Web of Science, Scopus ან ERIH Plus (მხოლოდ ქართველოლოგიური მიმართულებით) მეტრიკულ ბაზებში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოსაცემად, ხოლო **დამატებით ქართულენოვანი პუბლიკაციის მომზადება სარეკომენდაციო ხასიათისაა** და გათვალისწინებული იქნება მიზნობრივი პროექტის შერჩევა-შეფასების დროს (ამ დებულებით გათვალისწინებულ შეფასების კომპონენტში ,,სამეცნიერო ეფექტიანობა“ კონკურსანტს მიენიჭება 0,5 ქულა). **საბოლოო ანგარიშის წარდგენის** მომენტისთვის პროექტის ხელმძღვანელმა (მენეჯერმა) უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია დაბეჭდილი (გამოცემული) ნაშრომის შესახებ **ან წარმოადგინოს ცნობა** პუბლიკაციის დასაბეჭდად მიღების შესახებ და პროექტის დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში უზრუნველყოს კვლევის შედეგების გამოქვეყნება (მინიმუმ ერთი პუბლიკაციის) Web of Science, Scopus ან ERIH Plus (მხოლოდ ქართველოლოგიური მიმართულებით) მეტრიკულ ბაზებში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში; პუბლიკაციაში მითითებული უნდა იყოს, რომ კვლევა დაფინანსდა ბსუ-ს მიერ; **პროექტის საბოლოო ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს** სამეცნიერო **ნაშრომის (**გამოსაქვეყნებელი პუბლიკაციის) **აბსტრაქტი,** სტრუქტურა, სიახლე, მეთოდოლოგია და კვლევის პროცესის აღწერა;

დ) პუბლიკაციის **გამოქვეყნების შესახებ წერილობითი ინფორმაცია** პროექტის ხელმძღვანელმა პროექტის **დასრულებიდან** არაუგვიანეს **ერთი წლისა უნდა** წარუდგინოს რექტორს. აღნიშნული ინფორმაცია და მასალები განსახილველად გადაეცემა **ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს;**

ე) მიზნობრივი პროექტის ფარგლებში შესრულებული კვლევის შედეგები პროექტის ძირითადი პერსონალის მიერ უნდა აისახოს ბსუ-ს დასაქმებულის სახელით მოსამზადებელ სამეცნიერო ანგარიშებში;

ვ) მიზნობრივი პროექტის შესახებ სოციალურ მედიაში ინფორმაციის გავრცელებისას სავალდებულოა მითითებული იქნეს: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი კვლევითი პროექტი ,,....(პროექტის დასახელება).....";

ზ) ბსუ-ს მიზნობრივი პროექტით გათვალისწინებული და განხორციელებული (შესრულებული) კვლევის ფარგლებში/შედეგად მომზადებული სამეცნიერო ნაშრომი (მიზნობრივი პროექტის ხელმძღვანელის (და ძირითადი პერსონალის) ავტორობით), უნდა გამოქვეყნდეს ამ დებულებით გათვალისწინებულ გამოცემებში, დადგენილ ვადაში და წესით (გამოცემებში უნდა მიეთითოს შემდეგი: ,,ნაშრომი მომზადდა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის" საგრანტო პროექტის ფარგლებში (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს ---- წლის № ..... დადგენილებით დამტკიცებული პროექტი ,, ,.....").

2. ბსუ უფლებამოსილია მიზნობრივი პროექტის ფარგლებში შესრულებული კვლევის შესახებ ანგარიშებში ასახული მონაცემები, ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები, გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, განათავსოს ვებგვერდებზე, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში.

მუხლი 6. მიზნობრივი პროექტის შეფასების კრიტერიუმები

1. მიზნობრივი პროექტები ფასდება **სამი კრიტერიუმის** მიხედვით, თითოეული კრიტერიუმი ფასდება 1-დან 5 ქულამდე. ჯამური მაქსიმალური შეფასება შეადგენს **15 ქულას:**

შეფასების კრიტერიუმი	**ქულა**	**შეფასების ინდიკატორები**
1. კვლევის სამეცნიერო ღირებულება	1 – 5	კვლევის თემის/საკითხის აქტუალობა; სიახლე და ინოვაციურობა; მიზნებისა და ამოცანების სიცხადე; მეთოდოლოგიის შესაბამისობა; სამეცნიერო ძირითადი პერსონალის კომპეტენცია; ინტერდისციპლინურობა და საერთაშორისო თანამშრომლობა.
2. სამეცნიერო ეფექტიანობა	1 – 5 (მათ შორის 0,5 ქულა - ქართულენოვანი პუბლიკაციის მომზადება-გამოცემის განაცხადისათვის)	მოსალოდნელი შედეგების ინოვაციურობა; შედეგების გავრცელების გეგმა; საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში (Web of Science, Scopus, ERIH Plus) პუბლიკაციის პოტენციალი და პროექტის ფარგლებში ქართულენოვანი პუბლიკაციის მომზადება-გამოცემის პოტენციალი.
3. პროექტის განხორციელება	1 – 5	განხორციელების გეგმის ეფექტიანობა; ამოცანებისა და ვადების რეალისტურობა; ბიუჯეტისა და რესურსების შესაბამისობა; პროექტის მდგრადობა; ბსუ სტუდენტ(ებ)ის ჩართულობა.
ჯამი	**3 – 15**	**გამარჯვებისათვის საჭიროა მინიმუმ 11 ქულა**

2. **ქულებით შეფასების განმარტება:**

ა) 1 ქულა – სუსტი: პროექტი არაადეკვატურად პასუხობს კრიტერიუმს;

ბ) 2 ქულა – დამაკმაყოფილებელი: პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი ხარვეზები;

გ) 3 ქულა – კარგი: პროექტი მთლიანობაში კარგად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ აქვს გარკვეული ხარვეზები;

დ) 4 ქულა – ძალიან კარგი: პროექტი ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს, ორიგინალურია და მაღალი სამეცნიერო პოტენციალი;

ე) 5 ქულა – საუკეთესო: გამორჩეული, მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მქონე პროექტი.

3. დაფინანსების მოსაპოვებლად, პროექტმა უნდა მოაგროვოს **მინიმუმ 11 ქულა.**

4. თანაბარი ქულების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება: პირველ, შემდეგ მეორე, შემდეგ მესამე კრიტერიუმში მაღალ ქულას; შემდეგ – ახალგაზრდა მეცნიერის ჩართულობას; ბოლოს – ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს.

მუხლი 7. საკონკურსო და სააპელაციო კომისიები

1. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ობიექტური შეფასებისა და გამარჯვებულთა გამოვლენის მიზნით, **ბსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო** კომისია არანაკლებ **9 წევრის** შემადგენლობით (მათ შორის კომისიის თავმჯდომარე და მდივანი). კომისიის შემადგენლობაში **შედის** შესაბამისი კვლევითი მიმართულების/დარგის ექსპერტები, რომელთა კანდიდატურებს ერთობლივად შეარჩევენ ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და რექტორის მოადგილე და წარუდგენენ ბსუ-ს რექტორს. **კომისიის მდივნის ფუნქციას** ასრულებს ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურის პერსონალის წარმომადგენელი (ხმის უფლების გარეშე).

2. მოწვეულ სპეციალისტებს დარგის მიმართულებით უნდა ჰქონდეთ სამეცნიერო პუბლიკაცია Scopus, Web of Science-სა და Erih Plus (მხოლოდ ქართველოლოგიური მიმართულებით) ინდექსირებულ ბაზებში.

3. კონკურსის მონაწილეთა მიერ კონკურსის შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში, რექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია, არაუმეტეს 3 წევრის შემადგენლობით (მათ შორის განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე და მდივანი). შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს: ბსუ-ს ადმინისტრაციული თანამდებობის, აკადემიური ან/და სამეცნიერო თანამდებობის პირები ან/და შესაბამისი სამეცნიერო სფეროს სპეციალისტი (სავალდებულო პირობაა, აღნიშნული პირები არ იყვნენ საკონკურსო კომისიის წევრები).

4. საკონკურსო ან სააპელაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი:

ა) რომელიც არის კონკურსის მონაწილე;

ბ) რომელიც არის პროექტში მონაწილე პირის ნათესავი (პირდაპირი ხაზის ნათესავი; მეუღლე, მეუღლის და-ძმა და მისი პირდაპირი ხაზის ნათესავი; აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა; და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები).

5. საკონკურსო ან სააპელაციო კომისიის წევრი ვალდებულია ბსუ-ს რექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

6. საკონკურსო ან სააპელაციო კომისიის წევრების შრომის ანაზღაურების განსაზღვრისა და გაცემის შესახებ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება გამოიცემა, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 8. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი

1. საკონკურსო კომისია არის დროებითი და მისი უფლებამოსილება წყდება კონკურსის შედეგების ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს სხდომაზე წარდგენისა და დამტკიცებისთანავე. კომისია

ვალდებულია დაიცვას ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპები და უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური ეთიკის სტანდარტები.

2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი **შემადგენლობის 2/3.** სხდომა შეიძლება გაიმართოს პირისპირ, შერეული ფორმატით ან ნაწილობრივ დისტანციურად (კომისიის მოწვეული წევრების შემთხვევაში, რომლებსაც სხდომაზე დასწრება შეუძლიათ ონლაინ პლატფორმის მეშვეობითაც).

3. საკონკურსო კომისიის სხდომა დახურულია.

4. კომისიის წევრებს წინასწარ (სხდომამდე) გადაეცემათ კონკურსის მონაწილე მიზნობრივი პროექტების განაცხადები და საკონკურსო დოკუმენტაცია. კომისიის წევრები ვალდებულნი არიან შეისწავლონ თითოეული პროექტი და შეაფასონ ამ დებულებით განსაზღვრული შეფასების **კრიტერიუმების მიხედვით.** კომისია **უფლებამოსილია** გამარჯვებულის გამოვლენამდე მოიწვიოს პროექტის ხელმძღვანელი პრეზენტაციის წარდგენისა და კომისიის წევრების შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, **ასევე განუსაზღვროს ვადა ტექნიკური ხარვეზის** გამოსასწორებლად (არსებობის შემთხვევაში, მაგ: თარიღი, დასაქმებულის პოზიცია, სტატუსი, ბიუჯეტის გამოთვლით ნაწილში ან სხვა, არაარსებითი ხარვეზი).

5. **საკონკურსო კომისიის მდივანი** უზრუნველყოფს ამ დებულებით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით საკონკურსო განაცხადის (პროექტის) შეფასებისათვის შესაბამისი ფორმების მომზადებას და **კომისიის თითოეული წევრისათვის გადაცემას.** კომისიის თითოეული წევრი ავსებს ფორმას - საკონკურსო პროექტს აფასებს ამ დებულებით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით (0-დან 15 ქულამდე) და ხელმოწერილ შეფასების ფორმას გადასცემს კომისიის მდივანს, რომელიც აჯამებს კომისიის ყველა წევრის მიერ მინიჭებულ ქულებს (პროექტის საბოლოო შეფასების ქულა იანგარიშება საკონკურსო კომისიის წევრთა შეფასების საშუალო არითმეტიკულით), მიღებულ შედეგებს აცნობს კომისიას და ასახავს კომისიის სხდომის ოქმში. თუკი 2 ან მეტ პროექტს თანაბარი საბოლოო ქულა დაუგროვდება, გამარჯვებულად გამოცხადდება ის პროექტი, რომელიც მიიღებს უფრო მეტ უმაღლეს შეფასებას (15 ქულა) კომისიის წევრებისაგან. თუ ეს მაჩვენებელიც თანაბარია, უპირატესობა მიენიჭება შემდეგნაირად: პირველ, შემდეგ მეორე, შემდეგ მესამე კრიტერიუმში მაღალ ქულას; შემდეგ – ახალგაზრდა მეცნიერის ჩართულობას; ბოლოს – ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს. თუ აღნიშნული წესის გამოყენების შემდეგაც ვერ მოხერხდება გამარჯვებულის გამოვლენა, კომისია გამარჯვებულ პროექტს გამოავლენს ღია კენჭისყრით, ხმების უმრავლესობით, ხოლო ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

6. კომისიის მუშაობა და გადაწყვეტილებები აისახება წერილობით სხდომის ოქმში, რომელშიც მიეთითება: კომისიის დასახელება; სხდომის თარიღი და ადგილი; სხდომის თამჯდომარის, მდივნის და წევრების ვინაობა (დასაქმების ადგილის მითითებით); დღის წესრიგი; გამოთქმული მოსაზრებები/პროექტების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად მიღებული ქულები/კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება; ოქმს ხელს აწერს კომისიის თამჯდომარე და მდივანი.

7. კომისია ვალდებულია ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში გამოაქვეყნოს კონკურსის შედეგები ბსუ-ს ვებგვერდზე და წარუდგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

მუხლი 9. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება და სააპელაციო კომისიის მუშაობის წესი

1. საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებული კონკურსის შედეგი (საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება) **შესაძლებელია გაასაჩივროს** კონკურსანტმა, შედეგის გამოქვეყნებიდან **არაუგვიანეს მე-3 სამუშაო დღისა.**

2. კონკურსანტმა დასაბუთებული საჩივარი უნდა წარუდგინოს ბსუ-ს რექტორს, ბსუ-ს კანცელარიის საშუალებით. საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) საჩივრის შემომტანი პირის სახელი, გვარი, სტატუსი (დაკავებული პოზიცია) და საკონტაქტო ინფორმაცია (საკონკურსო განაცხადში მითითებული მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი);

ბ) საჩივრის შემომტანი პირის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო მიზნობრივი პროექტის დასახელება და მომჩივანის პოზიცია პროექტში;

გ) ხარვეზის/დარღვევის შინაარსი და საჩივრის ავტორის მოთხოვნა;

დ) საჩივრის ავტორის ხელმოწერა, თარიღი და დრო.

3. კონკურსანტის საჩივარი და საკონკურსო დოკუმენტაცია (საკონკურსო კომისიის მასალები) განსახილველად გადაეცემა სააპელაციო კომისიას, რომელიც **2 სამუშაო** დღის ვადაში **იხილავს** საჩივარს და მიღებულ შედეგს (საოქმო დადგენილებას) არაუგვიანეს **მომდევნო სამუშაო დღეს** აცნობებს ბსუ-ს რექტორს, კონკურსანტს (საჩივრის ავტორს) და საკონკურსო კომისიას.

4. სააპელაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება **სრული შემადგენლობა.** სხდომა შეიძლება გაიმართოს პირისპირ, შერეული ფორმატით ან ნაწილობრივ დისტანციურად (კომისიის მოწვეული წევრების შემთხვევაში).

5. სააპელაციო კომისიის სხდომა დახურულია. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით, ხოლო ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. კომისიის მუშაობა და გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში, რომელშიც მიეთითება: კომისიის შემადგენლობა; სხდომის თამჯდომარის, მდივნის და წევრების ვინაობა; სხდომის თარიღი და ადგილი; დღის წესრიგი; გამოთქმული მოსაზრებები; ღია კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება. ოქმს ხელს აწერს სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

6. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია სხდომაზე მოიწვიოს კონკურსანტი/პროექტის ხელმძღვანელი ან/და საკონკურსო კომისიის წევრები ან/და მიიღოს დამატებითი ინფორმაცია ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულისაგან (საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზიის სრულად და ობიექტურად განხილვის მიზნით).

7. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია მიიღოს **შემდეგი გადაწყვეტილება:**

ა) საჩივარი დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს საკონკურსო კომისიის საოქმო გადაწყვეტილება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება გამარჯვებული პროექტის გამოვლენის თაობაზე;

ბ) საჩივარი არ დაკმაყოფილდეს და საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება დარჩეს ძალაში.

8.. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება საჩივრის ავტორს და საკონკურსო კომისიას და მასალებთან ერთად ეგზავნება ბსუ-ს რექტორს, ამ დებულებით გათვალისწინებული შემდგომი ღონისძიებების გატარების მიზნით (ბსუ-ს აკადემიური საბჭოსათვის წარდგენა და სხვა).

მუხლი 10. კონკურსის შედეგების აკადემიური საბჭოს მიერ განხილვა (პროექტების დამტკიცება)

1. მიზნობრივი პროექტების შესარჩევი კონკურსის ფარგლებში **საკონკურსო კომისიის** (არსებობის შემთხვევაში - ასევე სააპელაციო კომისიის) მიერ მიღებული **გადაწყვეტილებები** გადაეცემა ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს, კონკურსის შედეგების დამტკიცების საკითხის განხილვისათვის.

2. **აკადემიური საბჭო** უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი **გადაწყვეტილება:**

ა) **დაამტკიცოს** მიზნობრივი პროექტების შესარჩევი კონკურსის შედეგად შერჩეული პროექტები (პროექტების დამტკიცება - პროექტების დაფინანსების შესახებ დადებითი გადაწყვეტილება);

ბ) **არ დაამტკიცოს** მიზნობრივი პროექტების შესარჩევი კონკურსის შედეგები, შესაბამისი დასაბუთებით.

3. მიზნობრივი პროექტების შესარჩევი კონკურსის შედეგად შერჩეული პროექტების დამტკიცების შემთხვევაში ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებაში აისახება დამტკიცებული პროექტების დასახელება, პროექტის ხელმძღვანელები (მენეჯერები)/ახალგაზრდა მეცნიერები; პროექტის საერთო ბიუჯეტი და **დანართების სახით უნდა ერთვოდეს დამტკიცებული პროექტები** (აღწერილობა/გეგმა-გრაფიკი/ბიუჯეტით);

4. მიზნობრივი პროექტების შესარჩევი კონკურსის შედეგების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილება ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე, ეგზავნება დამტკიცებული პროექტების ხელმძღვანელებს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

მუხლი 11. პროექტის დაფინანსება და ცვლილებები პროექტში

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული მიზნობრივი პროექტების გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის შესაბამისად პროექტის პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ, შესაძლებელია პროექტის ბიუჯეტით აღნიშნულ ხარჯვით კატეგორიებში მითითებული აქტივობისათვის დაფინანსების გაცემა (საქონელის/მომსახურების შესყიდვა, მივლინების სამართლებრივი აქტების და სხვა აქტების გამოცემა).

2. პროექტის პერსონალის შრომის ანაზღაურება გაიცემა **კვარტალურად**, პროექტის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

3. პროექტის ფარგლებში შეძენილი ქონება რჩება უნივერსიტეტის საკუთრებაში.

4. პროექტის **გეგმა-გრაფიკში ან/და ბიუჯეტში** ცვლილების საჭიროების შემთხვევაში, პროექტის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის (ან ბსუ-ს უფლებამოსილი დასაქმებულის დასაბუთებული საჭიროების) გათვალისწინებით, სამეცნიერო კვლევების სამსახურის ორგანიზებით მზადდება დამტკიცებული **მიზნობრივი პროექტის გეგმა-გრაფიკსა და ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება,** ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და ვიზირებით. მოსამზადებელი პროექტი უნდა შეთანხმდეს ბსუ-ს უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულებთან (1. საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი; 2. იურიდიული დეპარტამენტი; 3. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური).

5. დასაშვებია მიზნობრივი პროექტის **ბიუჯეტში ცვლილება** (პროექტის საერთო ბიუჯეტის არაუმეტეს **10%-ის** ფარგლებში).

6. პროექტის გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტში ცვლილება დასაშვებია პროექტის განხორციელების ვადის ბოლო **3-თვიანი** პერიოდის დაწყებამდე (გარდა განსაკუთრებული, დასაბუთებული შემთხვევებისა), ამასთან, პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი **შესყიდვები** აუცილებლად უნდა დასრულდეს ამ პერიოდის დაწყებამდე. ცვლილება არ უნდა იწვევდეს დამტკიცებული პროექტის ბიუჯეტის გაზრდას ან/და დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების წინამდებარე დებულებით განსაზღვრული ზღვრული ოდენობის (პროცენტული ოდენობის) დარღვევას და უნდა იყოს თავსებადი შესაბამისი პროექტით გათვალისწინებული აქტივობის შესრულების სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებთან.

7. **ფორს-მაჟორული** გარემოებების (მათ შორის ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ან პანდემიის) არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია პროექტის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული პროექტის ვადის გახანგრძლივება – ბსუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, პროექტის ხელმძღვანელის დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე (ბსუ-ს რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინადადებების გათვალისწინებით).

მუხლი 12. პროექტის ადმინისტრირება და მონიტორინგი

1. ბსუ-ს მიზნობრივი საგრანტო პროექტების ადმინისტრირება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ **და მოიცავს შემდეგ ეტაპებს და აქტივობებს:**

ა) ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დასაფინანსებელი ბსუ-ს მიზნობრივი საგრანტო პროექტების სამეცნიერო მიმართულებების განსაზღვრა, შესარჩევი კონკურსის გამოცხადება, საკონკურსო და სააპელაციო კომისიების შექმნა;

ბ) კონკურსის ჩატარება, გამარჯვებული პროექტების გამოვლენა და აკადემიური საბჭოს სხდომაზე დამტკიცება;

გ) დამტკიცებული მიზნობრივი პროექტების პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება (რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად); პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსება და შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემა/აქტივობების განხორციელება (შესყიდვები; მივლინების სამართლებრივი აქტები; მატერიალური რესურსის გამოყოფა და სხვა);

დ) პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგი, მათ შორის: პროექტის შესრულების თაობაზე ამ დებულებით გათვალისწინებული **შუალედური და საბოლოო ანგარიშების** (პროგრამული და ფინანსური) განხილვა/შეფასება/დამტკიცება; პროექტის დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში **სამეცნიერო პუბლიკაციის** (სტატიის) ბსუ-ს მიზნობრივი პროექტით გათვალისწინებული და განხორციელებული (შესრულებული) კვლევის ფარგლებში/შედეგად მომზადებული **სამეცნიერო ნაშრომის (პუბლიკაცია/სტატია)** საერთაშორისო ჟურნალში (გამოცემაში) გამოქვეყნების მხარდაჭერა და აღნიშნული ვალდებულების პროექტის ხელმძღვანელის მიერ შესრულების მონიტორინგი;

ე) წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათებისა და საჭიროების შესაბამისად, დამტკიცებული მიზნობრივი პროექტების გეგმა-გრაფიკებში და ბიუჯეტებში ცვლილებების შეტანა;

ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს კანონმდებლობით და ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა აქტივობების შესრულება (სამართლებრივი აქტების გამოცემა).

2.. დამტკიცებული და დაფინანსებული მიზნობრივი პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით უნდა მომზადდეს და წარმოდგენილი იქნეს პროექტის **შუალედური და საბოლოო ანგარიშები,** რომლებიც უნდა მოიცავდეს პროგრამული და ფინანსური ანგარიშების კომპონენტებს. წარმოსადგენი ანგარიშების ფორმები მტკიცდება **ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.**

3. პროექტის **შუალედური და საბოლოო ანგარიშები, ასევე** ამ დებულებით გათვალისწინებული **„სტატიის“ გამოქვეყნების შესახებ ანგარიში,** პროექტის ხელმძღვანელის მიერ **წარდგენილი უნდა** იქნეს ბსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე, ბსუ-ს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით:

ა) შუალედური ანგარიში - ყოველ 6 თვეში;

ბ) საბოლოო ანგარიში - პროექტის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული საბოლოო ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 15 კალენდარულ დღეში;

გ) ამ დებულებით დადგენილების წესით **,სტატიის“/„პუბლიკაციის“** გამოქვეყნების შესახებ **ანგარიში** (შემდეგში - სტატიის შესახებ ანგარიში) - პროექტის ვადის დასრულებიდან **არაუგვიანეს 1 წლისა.**

4.. მიზნობრივი პროექტების **ანგარიშების გაცნობის შედეგად შესაძლებელია** ბსუ-ს რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მხრიდან პროექტის ხელმძღვანელს მიეცეს ვადა, ანგარიშის ტექნიკური შესწორება-სრულყოფისათვის (არსებობის შემთხვევაში).

5. დამტკიცებული/დაფინანსებული მიზნობრივი პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით პროექტის **ანგარიშები, განხილვისა და დამტკიცებისათვის** წარედგინება **ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს (**ბსუ-ს რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რეზოლუციის/წინადადებების გათვალისწინებით), რომელიც **უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილებები** (დადგენილება):

5.1. შუალედური ანგარიშის განხილვის შედეგად:

ა) შუალედური ანგარიშის **ცნობად** მიღება და **დადებითად შეფასება** (სათანადო რეკომენდაციით (ებით) ან რეკომენდაციის გარეშე);

ბ) შუალედური ანგარიშის **უარყოფითად** შეფასება და მიზნობრივი პროექტის განხორციელების შესაბამისი ვადით **შეჩერება**. დასაბუთებული დადგენილებით პროექტის ხელმძღვანელს განესაზღვრება ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. აღნიშნულ ვადაში თუკი არ აღმოიფხვრა ხარვეზი (არ აღსრულდა აკადემიური საბჭოს დადგენილება), აკადემიური საბჭო განიხილავს პროექტის განხორციელების შეწყვეტის საკითხს და განსაზღვრავს თანამდევ გასატარებელ

ღონისძიებებს (პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტა, მიღებული შრომის ანაზღაურების დაბრუნების ვალდებულებით ან სხვა);

გ) შუალედური ანგარიშის **უარყოფითად** შეფასება, მიზნობრივი პროექტის განხორციელების **შეწყვეტა და** მიზნობრივი პროექტისათვის **სტატუსის „დაუსრულებელი პროექტი“ მინიჭება.** დასაბუთებული დადგენილებით აკადემიური საბჭო განსაზღვრავს პროექტის შეწყვეტის თანამდევ გასატარებელ ღონისძიებებს (პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტა, მიღებული შრომის ანაზღაურების დაბრუნების ვალდებულებით ან სხვა).

5.2. საბოლოო ანგარიშის განხილვის შედეგად:

ა) საბოლოო ანგარიშის **ცნობად** მიღება, **დადებითად შეფასება** და მიზნობრივი პროექტისათვის **სტატუსის „დასრულებული** პროექტი“ **მინიჭება,** თუკი პროექტის ფარგლებში **სტატია უკვე გამოქვეყნებულია** (ან წარმოდგენილია ცნობა შესაბამისი გამომცემლობიდან, სტატიის დასაბეჭდად მიღების თაობაზე);

ბ) საბოლოო ანგარიშის **ცნობად** მიღება, **დადებითად შეფასება** და მიზნობრივი პროექტისათვის **სტატუსის „ნაწილობრივ დასრულებული** პროექტი“ **მინიჭება,** თუკი პროექტის ფარგლებში სტატია ჯერ არ არის გამოქვეყნებული;

გ) საბოლოო ანგარიშის **უარყოფითად** შეფასება და მიზნობრივი პროექტისათვის **სტატუსის „დაუსრულებელი** პროექტის“ **მინიჭება.** დასაბუთებული დადგენილებით აკადემიური საბჭო განსაზღვრავს გასატარებელ ღონისძიებებს (პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტა, მიღებული შრომის ანაზღაურების დაბრუნების ვალდებულებით ან სხვა).

5.3. სტატიის გამოქვეყნების შესახებ ანგარიშის განხილვის შედეგად:

ა) სტატიის გამოქვეყნების შესახებ ანგარიშის **ცნობად** მიღება, **დადებითად შეფასება** და მიზნობრივი პროექტისათვის ნაცვლად სტატუსისა „ნაწილობრივ დასრულებული პროექტი“ ახალი სტატუსის **„დასრულებული** პროექტი“ **მინიჭება;**

ბ) სტატიის გამოქვეყნების შესახებ ანგარიშის **უარყოფითად** შეფასება და მიზნობრივი პროექტისათვის ნაცვლად სტატუსისა „ნაწილობრივ დასრულებული პროექტი“ ახალი სტატუსის **„დაუსრულებელი პროექტი“ მინიჭება.**

6. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ანგარიშების განხილვის შედეგად თუკი **აკადემიური საბჭო მიიღებს დასაბუთებულ უარყოფით გადაწყვეტილებას,** რომლითაც მიზნობრივი პროექტის განხორციელება შეწყდა და პროექტს მიენიჭა სტატუსი „დაუსრულებელი პროექტი“, **იმავე** დადგენილებით **განისაზღვრება შემდგომში გასატარებელი ღონისძიებები:**

ა) შუალედური ანგარიშის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში - პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების ვადაზე ადრე შეწყვეტა და პროექტის ძირითადი პერსონალის მიერ მიღებული შრომის ანაზღაურების დაბრუნების თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის (კანცლერის ვიზირებით) შესახებ ბსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის წარდგინებით მიმართვა;

ბ) სტატიის გამოქვეყნების შესახებ ანგარიშის **უარყოფითად** შეფასების შემთხვევაში - მიზნობრივი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ამ პროექტის ფარგლებში მიღებული შრომის ანაზღაურების **სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნების თაობაზე** ან/და მომდევნო **2 წლის განმავლობაში** ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით მისაღები შეღავათების გაცემაზე შეზღუდვის შესახებ (პროფესიული განვითარების ღონისძიება ან სტატიის გამოქვეყნებაზე წახალისების ღონისძიება და სხვა) ბსუ-ს რექტორის **ბრძანების** გამოცემის (კანცლერის ვიზირებით) შესახებ ბსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის **წარდგინებით მიმართვა.**

7. წინამდებარე დებულების მოთხოვნათა აღსრულების მიზნით **ბსუ-ს რექტორის მიერ გამოიცემა შესაბამისი სამართლებრივი აქტები** (მათ შორის: საკონკურსო სამეცნიერო მიმართულებების განსაზღვრა და კონკურსის გამოცხადება, ამ დებულებით გათვალისწინებული ფორმების დამტკიცება, კომისიების შექმნა, შრომითი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცება, კონკურსის შედეგების განხილვა-დამტკიცებისათვის და მონიტორინგის საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ ან სხვა), საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

8. წინამდებარე დებულების მოთხოვნათა აღსრულების და მონიტორინგის განსახორციელებლად საორგანიზაციო ღონისძიებების ინიცირებას, დაგეგმვას და განხორციელებას, ასევე პროექტების ხელმძღვანელთა კონსულტირებას და მხარდაჭერას უზრუნველყოფს **ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახური**, ბსუ-ს რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, რექტორის მოადგილის (სამეცნიერო მიმართულებით) კოორდინირებით.

მუხლი 13. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე დებულება დამტკიცებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით და ვრცელდება 2026 წლიდან შერჩეულ და დამტკიცებულ ბსუ-ს მიზნობრივ საგრანტო პროექტებზე.

2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით. დებულებაში ცვლილების და დამატების შეტანის **ინიციატორი შეიძლება იყოს:** აკადემიური საბჭო, ბსუ-ს რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, რექტორის მოადგილე.

3. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

4. 2026 წლამდე დამტკიცებული, 2025-2026 წლებში განსახორციელებელი (განხორციელებული) ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი პროექტების ანგარიშგების და ადმინისტრირების მონიტორინგის პროცესზე ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 დადგენილება.